**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის**

**ბრძანება №ნ-21**
**2018 წლის 18 ივლისი**
**ქ. თბილისი**

**,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის №ნ-16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის Nნ-16 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 26/09/2017, სარეგისტრაციო კოდი: 350090000.64.076.016025) დამტკიცებულ პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტში (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ" ქვეპუნქტი:

„ზ) სერტიფიცირების დამადასტურებელ სტატუსს (ბუღალტრის სერტიფიკატი). პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია დამატებით ასევე მიუთითოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით (IESBA Code) დამკვიდრებული ტერმინი.".

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ბუღალტრული აღრიცხვის,**
**ანგარიშგებისა და აუდიტის**
**ზედამხედველობის სამსახურის**
**უფროსი** **იური დოლიძე**